წაიკითხეთ! წაიკითხეთ!

დღევანდელი ნომერი ეძღვნება სვანეთს, მის გმირულ წარსულს, დღევანდელ დღესა და ბედნიერ მომავალს. საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის შესახებ წაიკითხავთ მასალებს მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-8 გვერდებზე.

წაიკითხეთ!

მე-2 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი" გაეცნობით კახეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს. ამავე გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ რეზო დვალიშვილის საინტერესო წერილი — „დედა კორნელია".

გაზეთის მეშვიდე გვერდზე გთავაზობთ საუბარს თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელ გავრილ კაჩალინთან.

— აქვე გაეცნობით ჩვენი საჭადრაკო მიმომხილველის გივი გამრეკელის წერილს — „ვინ იქნება ნონას მეტოქე".

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა
№ 22 (277) გამოცემის მე-15 წელი
1971 წლის 26 ნოემბერი

დებო და
ძმებო
სვანებო,
დიდ
საქართველოს
შვილებო,
მთების
ჭექა და
ქუხილში
ქართველებად
გამოზრდი-
ლებო!

გიორგი ლეონიძე

„სამშობლო" — ფოტო 71





„სამშობლო" — ფოტო 71

„სამშობლო" — ფოტო 71



სვანეთი და სვანები

ვახტანგ ჩხუმიანის, ალექსანდრე სარიშვილისა და ბრსენ ნიჟარაძის ფოტოები.



„სამშობლო" — ფოტო 71

საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი

ქართველი არქეოლოგები ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების კიაზო ფიცხელაურისა და შიო დედაბრიშვილის ხელმძღვანელობით კახეთის ტერიტორიაზე აწარმოებენ დიდი მასშტაბის არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთა შედეგად აღმოჩენილია საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ამ დღეებში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა ახალი, ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენით დაგვირგვინდა: გაითხარა დაახლოებით 3.600 წლის წინანდელი გორასამარხი, რომელშიც აღმოჩენილია დიდძალი საინტერესო არქეოლოგიური მასალა.

გათხრილი ძეგლების მეცნიერული ანალიზი საიმედო საფუძველს ქმნის ქართველი ერის ისტორიის ძველი, უძველესი და ანტიკური ხანის, ქართული კულტურისა და ხელოვნების ადრინდელი საფეხურების ახლებურად გაშუქებისათვის. ნამოსახლარები ალაზნის ველსა და ივრისპირეთში ამ მხრივ პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა, რადგან იგი 3.600-3.700 წლის წინანდელ პერიოდს განეკუთვნება და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებისა და კულტურული ფენების აღმოჩენის პირველი შემთხვევაა საქართველოში.

კახეთში ნაპოვნი სამარხი, რომელსაც დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, 3.600 წლისა უნდა იყოს. გორასამარხის ღრმა ორმოში მიცვალებულთან ერთად აღმოჩნდა დიდძალი თიხის ჭურჭელი, სპილენძის თხელი ფურცლისაგან გამოკვეთილი ორყურა ქვაბი, აგრეთვე საკმეველისა და ცხვრის ძვლები (როგორც ჩანს, მიცვალებულისათვის მთელი ხარი და ცხვარი გაუტანებიათ „საგზლად“).

მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს ნატიფი ხელოვნების რამდენიმე ათეული ოქროს ნივთი. როგორც ჩანს ოქროს ნივთების ერთი ნაწილი მიცვალებულის პირადი სამკაულია, ხოლო უმთავრესი — ოთხი სარიტუალო ალმის, ეგრეთ წოდებული შტანდარტის საზეიმო მორთულობაა; ეს ნიშნავს, რომ აქ დაკრძალული პირი სოციალურად მაღლიერ გამოყოფილი, დიდი ხელისუფლების მქონე ტომის წინამძღოლი, ბელადი უნდა ყოფილიყო.

ისტორიული მეცნიერება არ არის განებივრებული 3.600 წლის წინანდელი ასე მდიდრული სამარხების აღმოჩენით. ამიტომ ამ აღმოჩენის მნიშვნელობა ძალზე შორდება საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის ფარგლებს. და მაინც, ამ ახალი სამარხის აღმოჩენას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი კულტურის კერების ისტორიის შესასწავლად.

ახლად აღმოჩენილი გორასამარხის, კერძოდ, თიხის ჭურჭელი და ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები გვიჩვენებენ მხატვრული ხელოსნობის დიდ დაწინაურებას, კვერვის, ჭედვის, ფილიგრანის, ტვიფრვის, რჩილვის მაღალ ტექნიკას, სპილენძის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ტყვიის დამუშავების დიდ ხელოვნებას.

ახალი მასალები საოცრად ეხმიანება თრიალეთის ოქროს გორასამარხებს და გაფიქრებინებს, რომ ამ ორ ძველ ქართულ „ქვეყანას“ — თრიალეთსა და კახეთს მჭიდრო სამეურნეო კავშირი ჰქონიათ. უფრო მეტიც, მიუთითებს განვითარების ერთიანი დონეს და მეურნეობრივ ერთიანობას. ირკვევა, რომ ალაზნისა და ივრისპირეთის შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობა, რომელსაც დაწინაურებული მიწათმოქმედება და ფრიად განკითარებული მესაქონლეობა ჰქონია, საზამთრო საძოვრებად იყენებდა ალაზნისა და ივრისპირეთს, ხოლო საზაფხულო საძოვრებად — თრიალეთის ზეგანს. ეს უკვე შორდება უბრალო ურთიერთობის ფარგლებს და წარმოგვიდგება როგორც მეურნეობრივი ერთიანობა. ამას უნდა მოჰყოლოდა ამ ორი ტომის კულტურული ერთიანობა, რასაც მტკიცედ ადასტურებს აღმოჩენილი ნივთები.

უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკისა და ლითონის საინტერესო ანალოგი აღმოჩნდა მესხეთ-ჯავახეთში (პროფესორ ოთარ ჯაფარიძის გათხრები), შიგა ქართლში, ქვემო ქართლში (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის გერმანე გობეჯიშვილის გათხრები). ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საქმე ეხება არა შუაბრინჯაოს თრიალეთის ლოკალურ კულტურას ან იმ კულტურის ელემენტების რადიაციას, არამედ შუაბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კულტურას.

უკანასკნელი არქეოლოგიური მონაპოვრები ცხადყოფენ ქართველი ტომების ერთიანობას უკვე ადრეულ ეპოქაში, როგორიც არის შუაბრინჯაოს ხანა, ანუ იგი 3.600 წლის წინათ.

ქართველ არქეოლოგთა მუშაობა კახეთში გრძელდება. ჭართული მიწის წიაღში კიდევ ბევრი დიდმნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩნდება, რომლებიც ნათელს მოჰფენენ ქართველი ერის უძველეს ისტორიას.

ᲘᲕᲠᲘᲡ ნაპირებზე ახალი ისტორიული ძეგლი დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲖᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ᲒᲘᲖᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ. მათთან ერთად არქეოლოგიური გათხრების ადგილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲖᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ და ᲒᲘᲖᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ გულდასმითა და დიდი ინტერესით დაათვალიერეს გათხრის უბნები. დაწვრილებით გაეცნენ აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს.

ამხანაგმა ᲛᲖᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დიდის ოსტატობით დამზადებული თიხის ჭურჭლისა და უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშების გაცნობას.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲖᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდეს არქეოლოგიური კვლევა, გაუმჯობესდეს ძეგლთა დაცვა და მოვლა-პატრონობა.

ამხანაგებმა ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲖᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ და ᲒᲘᲖᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ექსპედიციის მონაწილეებს უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი საბჭოთა მეცნიერების სარბიელზე.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის გამგე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორრესპონდენტი პროფესორი ანდრია აფაქიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ოთარ ჯაფარიძე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბრინჯაოსა და რკინის ეპოქის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გერმანე გობეჯიშვილი, აგრეთვე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები კიაზო ფიცხელაური და შიო დედაბრიშვილი.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის...

შოთა რუსთაველი

სიყვარულსა და სიძულვილს, სახელები რომ შევუთანაცვლოთ, ვიტყვით, რაც სიყვარულს დაუსგრევია, სიძულვილს უშენებიაო...

გრძნობათა გამომსახველ ნიშანთა შეცვლით არსს არც არა აკლდება და არც არა ემატება!

სიყვარულს — ბუნების უზენაეს ხიბს, ამქვეყნად ვერაფერი შეცვლის... სიყვარულის ნიშს ვერც — მუსიკოსობის, ვერც ფერთა მეტყველების, ვერც სიტყვის ჯადოსნობის ნიჭი შეედრება!

ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ სიყვარულს — ეჭვი!

ეჭვი შიშია სასოების დაკარგვისა!

ძაინც სიმხდალე შობს ეჭვს და ჩრდილია სიყვარულისა!...

მხოლოდ დედის სიყვარულია უეჭვო, დედაშვილობის ანკარა სიყვარულში არ ურევია ეჭვის გეალი...

დედაო ჩვენო, ქართვლის დედავ,... ძუძუმადლიანო, შენით ცოცხლობს საქართველო, შენა ხარ ჩვენი ძალა და ღონე, შენ მოგვანიჭე სიცოცხლე და სიყვარული, შენ გვასწავლე ბრძოლა და სიკეთე, თავგანწირვა, სიფიცხლიც შენ გვასწავლე... უფრო სწორად სიკვდილი კი არა, არჩევანი გვასწავლე, როდის ვამჯობინოთ სიკვდილი სიცოცხლეს... რუსთაველის დიდ წიგნში რომ ჩაგვიწერე როგორც ცხოვრების წესი და კანონი!

...პატარა ქვეყანაა ჰოლანდია, ერთი ხელისდადება — კუნძული — ტექსელი...

ვინ მოთვლის, ამ პატარა მიწაზე რა ცოდვა-მადლი დატრიალდა!...

ზღვა ლოკავს ყოველი მხრიდან ამ კუნძულს, სამი ამდენი რომ იყოს ეს წყალი, ფაშიზმს— კაცობრიობის სირცხვილს, მაინც ვერ მოჰბანს ჩვენ საუკუნეს ვერც ზღვა და ვერც ოკეანე!

...ყავისფერი ობობა მოედო ევროპას და სულსა ხდიდა... 1945 წელი. ქართველი ტყვეები ტექსელზე ჩაიყვანეს. ქართველებმა პირი შეკრეს და აჯანყება გადაწყვიტეს (თუკი პირი შევკართ, ჩვენი მჯობნი არა მგონი ქვეყნად მოიძებნოს!).

4 აპრილს შუაღამისას კაპიტან ლოლაძის გასროლილი შუშხუნა იყო აჯანყების ნიშანი... პაროლი — დაბადების დღე!

დანებით დაკლეს გუშაგები... აჯანყება დაიწყო... კუნძულის მცხოვრებნი აჯანყებულთა მხარეზე იყვნენ... სიცოცხლეზე ისე არ ფიქრობდნენ, როგორც შურისძიებაზე!

ამ კუნძულზე ბევრი კეთილი და თანამოაზრე ადამიანი იყო, მაგრამ დედა კორნელია!..

დედა კორნელია! (ასე ეძახდა მას ყველა ქართველი ტყვე და ასე ეძახის ახლა მას ყველა კუნძულზე!) სულ სხვა იყო... აბა, დედას რომ უცხო მბარის, უცხო ტომისა და ენის ქალს შეარქმევ, რა უნდა იყოს!...

დედაშვილობას თარგმანი არ სჭირდება თურმე!

ტყვისათვის ლუკმაპური და თბილი სიტყვა ტყვია-წამალს უდრის. ჩვენს ბიჭებს მალავდა დედა კორნელია... საჰმელ-სასმელს უნახავდა, იცოდა დედა კორნელიამ, რასაც ჩადიოდა, უფრო სწორად, მას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო.

ერთხელ მთელმა ოჯახმა ეზოში დიდი ორმო გაჭრა, შიგ ოთხი ქართველი მებრძოლი ჩაწვინა, საჰაერო დაუტოვა, ზევიდან ისევ მიწა მიაყარა, უკვალნარი ჩარგო...

ასე ცოცხლად ჰყავდა ხუთი დღე დამარხული დედა კორნელიას ჩვენი ბიჭები, მათ შორის მისი პირველი შვილობილი კასპელი გრიგოლ ბაინდურაშვილი, რომელთანაც ახლა დედა კორნელია სტუმრად არის ჩამოსული...

თუ დედაშვილობაა, დედაშვილობა იყოს, მისწერა გრიგოლმა ტექსელზე კორნელიას — ჭალიშვილს ვათხოვებ და ქორწილზე უნდა მეწვიოო.

ამ ჩრდილოელ დედას ამ სამხრეთელმა შვილმა ისეთი ცეცხლი შეუნთო, რომ არ ჩამოსულიყო, არ იქნებოდა...

ჩამოვიდა, ჩამოვიდა დედა კორნელია საქართველოში და... ტექსელის რომელი მონაწილე არ ჩავიდა ჯახში, ვინ არ ნახა დედა კორნელია! სანდრო გაზაშვილი, შალვა და სანდრო მენაბდიშვილები, გარეგინ ოსკანოვი...

...ახლა საქართველოში შემოდგომა მოვილიეთ. „აზვავებული შემოდგომა ბეღლებს ჩაბარდა“, ქართველმა კაცმა ღმინისა და ქორწინებისათვის მოიცალა...

მოგვყავს ქალი ნათელია,
მოგვანათე სანთელია!..

ხმიანობს მაყრიონი... როგორც შარშან, როგორც შარშანწინ, როგორც ასი, ორასი, ათასი, წლის წინათ...

„მოიტაცეს თამარ-ქალი!“— მღერიან, ლაღობენ მოსავალმოწეული იმერლები, ქართლელები, კახელები, მეგრელები...

— მუთი,.. მაინე ლიბე!... ეხვევიან დედა კორნელიას ეს გარუჯული ბიჭები... და იღიმება ეს ჩრდილოელი დედა... თავშეკავებულად, ისე როგორც უცხოპელებს სჩვევიათ!.

იგონებენ ყველას და ყველაფერს... ტექსელის დღეები დავიწუებას მკაცრ კანონს არ ემორჩილება.

* * *

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ სიტყვა გვაქვს ქართველებს — „გარდაცვალება“ — კი არ მოკვდა, კი არ გაქრა — „გარდაიცვალა“ — ერთი მდგომარეობიდან გადავიდა მეორეში.

ხსოვნაში, დარდში, სიხარულში, მზის სხივებში ჩასახლდნენ ის „ღიმილის ბიჭები“, რომლებმაც აჯანყების პირველ დღეს „დაბადების დღე“ უწოდეს და მერე სამუდამოდ დარჩნენ ტექსელის ცივ მიწაში...

ილიკო, დავით, ვახტანგ...

ჩვენშია გაცხადებული თქვენი უკვდავება, სულ ასე მზე ბიჭებად დარჩებით!..

ეს კი არის, დედა კორნელიას ერთ მუჭა ქართულ მიწას გამოვატანთ, მოაბნიოს თქვენს საფლავებს, უფრო იხარებენ მიხაკები, მაინც სხვა მარილი აქვს ჩვენს მადლიან მიწას!...

რეზო დვალიშვილი

დედა კორნელია!...



სურათზე: ქართველ მეომართა ტექსელელი დედობილი.

მახვშების გაზრდილი



იაროსლავ იოსელიანი

□

გალღობისას მახვშების მოსმენა უყვარდა.

ქერა, მოძრავი, ცისფერთვალება ბიჭუნა მღელვარებითა და სიამაყით შეჰყურებდა თეთრწვერა მოხუცებს, რომლებმაც უთვალავი ლეგენდა თუ ნამდვილი ამბავი იცოდნენ სვანების ცხოვრებიდან.

და როცა მახვშები სვანთა გმირობაზე, ძმადნაფიცობაზე თუ მეგობრობაზე ლაპარაკობდნენ, მათი საუბრის აღქმა ადვილი იყო. ლაპარაკობდა სვანი, რომელსაც ჰქონდა უშველებელი მზარბენა, დაჩეხილი ხაბე, ერტყა დევების მოსახმარი ხანჯალი. დევების საბინადროს ჰგავდა მისი ვეებერთელა კოშკი. ეს ყველაფერი დიდებულ თეატრალურ სპექტაკლსა ჰგავდა. ამ გარემოში იზრდებოდა ცისფერთვალება პატარა სვანი ბიჭი.

ბიჭი „დედაენახაც“ სწავლობდა ოთხკლასიან სასწავლებელში. მერე სკოლა ეპატარავა ცოდნამოწყურებულს და ზემო სვანეთიდან ზღვისპირა გაგრას მიაშურა.

ზღვა საინტერესო სიახლე იყო იაროს ცხოვრებაში. მაგრამ თავდაპირველად როდი იცოდა, რომ ასე დაუმეგობრდებოდნენ ერთმანეთს, რომ იარო იოსელიანი პირველი სვანი იქნებოდა, რომელმაც ზღვას დაუკავშირა თავისი ვაჟკაცობა. ზღვამ შეიცნო მისი გმირული სული და დაემორჩილა მახვშების გაზრდილის ნებისყოფას.

...ჯერ მაინც წიგნის ერთგულია. ცოდნის გზას მიჰყვება, მოსკოვში ჩადის და ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება.

მერე ისევ ზღვის სიყვარული მიეძალა. ლენინგრადში ჩავიდა. ჯანმრთელობამ და მათემატიკის ცოდნამ ხელი შეუწყო. ფრუნზეს სახელობის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის მსმენელი გახდა და ოთხი წლის შემდეგ წყალქვეშელი ოფიცრის წოდება მიიღო.

იარო იოსელიანის წყალქვეშა ნავი შავ ზღვაში დაცურავდა. აქ დახვდა მამაცი სვანი დიდ სამამულო ომს. პირველსავე ბრძოლაში შავი ზღვის დასავლეთ რაიონში მტრის ვეებერთელა, 3.500-ტონიანი ხომალდი ჩაძირა. ამ ხომალდს დიდძალი ტექნიკა მოჰქონდა, ცოცხალი ძალაც მოჰყავდა და გერმანელთა ის სამხედრო ნაწილები უნდა შეევსო, კავკასიის მიმართულებით რომ მიელტვოდნენ.

გაჭირვებაც ბევრი შეხვედრია იოსელიანს. მრავალ უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულა, მაგრამ არც ცოდნას უღალატა, არც გულს და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა საბოლოოდ.

არასდროს დავიწუდება იაროსლავს 1943 წლის 6 ნოემბერი. მტრის ხომალდებმა მისი წყალქვეშა ნავი გაიპარეს. 200-ზე მეტი ბომბი ესროლეს. ლითონის კორპუსი თვრამეტ ადგილას შეუნგრიეს. შიშის დრო არა ჰქონდათ წყალქვეშელებს, თვითონაც მიაყენეს მტერს ზარალი, ალყიდანაც გავიდნენ და ხომალდიც გადაარჩინეს.

მერე ძლეული მტერი დასავლეთისკენ გარბოდა. გერმანელებმა სცადეს გადასარჩენად შავი ზღვის ბილიკებიც გამოეყენებინათ. მაშინ მთავარსარდლობამ ბრძანება გასცა, შავი ზღვიდან მტრის არც ერთი ხომალდი არ გასულიყო. საბჭოთა წყალქვეშელებმა ბრძანება შეასრულეს. ამ ოპერაციების საუკეთესოდ ხორციშესხმისათვის 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით მამაც წყალქვეშელს იაროსლავ იოსელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გაიხარა მთელმა ეკიპაჟმა, რადგან ზღვაზე ოდითგანვე მიღებულია, რომ კაპიტნის დაჯილდოება ეკიპაჟის დამსახურების აღიარებაა.

გაიხარა მშობლიურმა სვანეთმაც. მესტიისა და ლენტეხის რაიონის მშრომელებმა თავიანთი დანაზოგით წყალქვეშა ნავი შეიძინეს, „ახალი სვანეთი“ უწოდეს და უმაღლეს მთავარსარდლობას სთხოვეს, ეს ხომალდი მათი კუთხის შვილისათვის, საბჭოთა კავშირის გმირ იაროსლავ იოსელიანისათვის გადაეცათ.

* * *

„ახალი სვანეთი“ ბრძოლოეთში იბრძოდა. მისი პირველი შეტაკება კაპიტანს კარგად აქვს აღწერილი ავტობიოგრაფიულ წიგნში „ცეცხლი ოკეანეში“.

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

ხოჩა ლადელ!

სიკეთეს, კარგი დღის სურვილს, გამარჯობას ნიშნავს „ხოჩა ლადელ“ სვანურად.

ხოჩა ლადელ, სვანეთო, ხოჩა ლადელ, უშგულო!..

...ევროპაში უშგულზე მაღალი სოფელი არ არსებობს — 2.200 მეტრი ხუმრობა როდია; ზოგს სუნთქვა მეცარის ამ სიმაღლეზე, სვანები კი ბუნებრივ სიმაღლეს არ სჯერდებიან, ჯოშკებით ეტოქებიან მწვერვალთა...

მთელ ევროპას გადავჩერებივართო, ხუმრობენ ხოლმე შხარას ძმადშეფიცული უშგულელები...

მორბედი მგზავრისათვის სვანეთი და განსაკუთრებით კი უშგული, უდიდესი რომანტიკაა, ჯოშკთა სამეფო. ყოველი ჯოშკი კი ლეგენდაა, ზოგი თაბახია, ზოგი მიაგული, ზოგიც დევჯოშკაა... უშგულში სამი თამარია, კას კიბედ მიდგმული სამი მეფე-ჯოშკი, ფერნაცვალი, ჩამონგრეული და მაინც მედგარი...

ენგურის სათავეს გასდევს სოფლები უბიანი (ზედა), ჩვიბიანი (ქვედა) ჩაჟაში (შუაწელა) და მურყმელი, რაც ჯოშკს ნიშნავს და ჯოშკთა მცტობისათვის შეურჩევიათ უშგულის თემის ამ უბნისათვის.

უშგული მარტო მდებარეობითა და ჯოშკთა სიმრავლით როდი განსხვავდება სვანეთის სხვა სოფლებისაგან. აქ უფრო ხატიფად, უფრო ჭეშარიტად უქანდაკებიათ წინაპრებს ყოველი მურყვაში. დიახ, უქანდაკებიათ — ეს სიტყვა უფრო შეფერება მათ ნაშენს. ერთ-ერთ ჯოშკზე ოსტატის „ხელის ნაჭდევიც“ შერჩენილა — ქედელი მრუდი გამოდიოდა და შეუსწორებიაო. მართლა გაოცდები კაცი, ადამიანი ამენებდა ამ ჯოშკთა ტყეს თუ გოლიათთა მოდგმა...

ადამიანი ამენებდა, ჩვეულებრივი ქართველი კაცი, ოღონდ მთასავით ნებამტკიცე და გუშტი. ნების ეს სიმტკიცე დღესაც თვალსაჩინო თვისებაა სვანებისა და მით უფრო უშგულელებისა, ნების სიმტკიცისა და ერთობის წყალობით იყო უბატონო ზემო სვანეთი, რომლის მეთაურადაც ითვლებოდა უშიშართა საბუდარი უშგული (უშგულს აფარებდა თავს ბევრი დევნილი და თავისუფლების მაძიებელი), რომელმაც სწორედ ამ სიმტკიცისა და ერთობით სძლია გათამამებულ ფუთა „დაჩქელანს“ (ქვის სავარძელზე დააბრძანეს ლამარიას გალავანთან, თვით გალავანში მყოფთ სათოფურში ლულაგაყოფილ თოფის ჩახმახს თოკი გამობერს და მთელმა თემმა მოზიდა იგი... ის საბედისწერო ქვასავარძელი, რომელზეც მოკლეს დადეშქელიანი, ახლაც ლამარიას გალავანთან არის) ..

ასე ერთობით აშენებდნენ უმგულელები ახალ ცხოვრებასაც, ერთობით მიაღწიეს სამანქანო გზის გაჭრას კალადან უშგულამდე, და ეს სიხარული მართლაც ცად კიბის მიდგმას უდრიდა...

დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ სვანეთი, სადაც გერმანელი მთამსვლელის და მწერლის მერცბახერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებას თავისი თავისათვის უთხოვნია, მარტო რომანტიკა რომ ყოფილიყო, ყველაფერი მეშვენებოდა დიდი ჯაფის წყალობით — იგივე კომკები და მარუბები, რომელთაც ახლა იმერული ყაიდის ოდები უმშვენებს მხარს, იგივე გზები და ბილიკებგამობმული სახნავ-სათიბები... მხატვრის თვალი უნდა ჰქონდეს ადამიანს, ასე ლამაზად რომ მოხატოს ფერდობები ფერად-ფერადი უჯრედებით. სვანს უყვარს თავისი სამყოფი და არ ეთმობა იგი; ამის ნათელი დასტურია ყოველ სოფელში თვალსაჩინოდ მომრავლებული მოზრდილი, ლამაზი სახლები, მრავალშვილიანი ოჯახები (სვანეთში ხშირია ცხრაშვილიანობაც კი).

უშგულში 104 ჯომლი ცხოვრობს, სოფელს ვარდენ ღვაწლიანი თავკაცობს. ბევრი რამ გაკეთდა ამ 50 წლის მანძილზე უშგულელთა საკეთილდღეოდ — ამენდა ჯოჩწია საავადმყოფო, კლუბი, სასადილო, მაღაზია, ინტერნატი, ეამაყებათ საშუალო სკოლა რომ აქვთ და სკოლის თვრამეტივე მასწავლებელი აქაური მკვიდრია. ახლახან ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღიც შეემატათ და ამან დიდად გაუმართა ხელი ჯოლმეურნე დედებს.

უშგულის ფერიცვალებაში დიდი როლი მიუძღვის საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც სოფლისათვის თავდადებული კაცი დავით ჩარკვიანი განაგებს და სამაგალითოდ აქვს აწყობილი მეცხოველეობისა და მემიბდვრეობის დარგები.

ასე რომ, სოფელი იღვწის სადღეისოდ და სამერმისოდ, ბევრი სიკეთე შეემატა და ბევრსაც მოელის.

და მინდა ვახსენო ყველა ან სიკეთის მონატრული კაცის სახელი, სახელი ბესარიონ ნიჟარაძისა, ჩიბით მამამთავრისა და საქმით ერისკაცისა, რომლის საზოგადო მოღვაწეობამ ფრიადი შეფასება მიიღო „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილების მეოხებით.

„თავისუფალი სვანი“ — ამ ფსკვდონიმით იცნობდნენ მას ილია და აკაკი, მთელი საქართველო.

ბესარიონ ნიჟარაძის მეშვეობით შეგახათა ცოდნის შუქმა უშგულში, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში მან ოთხწლიანი სკოლა გახსნა. მისივე შემწეობით გადარჩა არა ერთი და ორიათი მოციქული წარსულისა — მანუსკრიპტები თუ ხატები. სვანეთი ხომ უდიდესი საგანძურია. მესტიის მზარეთმცოდნეობის მუზეუმის გარდა, ხატწერის, ოქროსმჭედლობისა და ხელნაწერთა უნიკალურ ნიმუშებს იცავენ თვით სასოფლო ეკლესიებში; ყოველი მათგანი ცხრაკლიტულად არის ქცეული. ცხრაკლიტური ერთ არის ჩარაზული უშგულის მაცხოვრის ეკლესიაც, რომელშიც თეზის შვიდივე საყდრის საგანძურია შეგროვილი და რომლის მცველია მოხუცი ნიკოლოზ დავითულიანი.

„სვანეთში ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრთა ისეთი რაოდენობაა შენახული, რომ უამისოდ საქართველოს კულტურის ისტორიას უძვირფასესი ფურცლები დააკლდებოდა. სვანებმა ამ მხრივ კარგი სამსახური გაუწიეს საქართველოს, შუა საუკუნეების კულტურას, მთელ მსოფლიო კულტურას“, — აღიარებდა ნიკო მარი.

ამ სიმდიდრის - გამომზეურებაში დიდია „თავისუფალი სვანის“ ღვაწლი.

და ეს ღვაწლმოსილი პიროვნება, სვანეთში „ბატონიჩინად“ ცნობილი კაცი, პატივით დაუმკვიდრებიათ თანასოფლელებს ლამარიას გალავანში, საყდრის აღმოსავლეთის კედელთან, სამზეოზე...

უკეთეს საუფლოს ვერც ინატრებდა თავისუფალი სვანის თავისუფალი სული!..

— ხოჩა ლადელ უშგულ, ხოჩა ლადელ მიჟ! მზევ დიდებულო!

ნანა ღვინეფაძე

დიახ, იაროსლავ იოსელიანი ახლა მწერალია, კალმითაც ისევე ერთგულად ემსახურება ხალხს, როგორც იარაღით ემსახურებოდა. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1957 წლიდან, როცა მისი მოთხრობები გამოქვეყნდა ჟურნალებში „ვოკრუგ სვეტა“, „სოვეტსკი მორიაკ“, „ოგონიოკ“.

იაროსლავ იოსელიანი წყალქვეშელებზე წერს და არსებითად ეს პირველი ნაწარმოებებია საბჭოთა წყალქვეშელებზე. დღეისათვის იგი 9 წიგნის ავტორია. დოკუმენტურ მასალებზე აგებულ მხატვრულ ნაწარმოებებში გვევლინება როგორც დაკვირვებული მწერალი, რომელიც თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობს, ოსტატურად ხატავს გმირებს, საქმიან დიალოგებში შლის განსხვავებულ ხასიათებსა და სურათებს.

საბჭოთა კავშირის გმირმა — პირველი რანგის კაპიტანმა ახლახან დაწერა წიგნი, რომელიც მეორე სახელგანთქმულ წყალქვეშელზე გოგი თარხნიშვილზე მოგვითხრობს.

გოგი ჩემი მეგობარი იყო, — ამბობს. — საზღვაო სასწავლებელში ერთად ვიყავით, სამამულო ომის დროს მისი სახელი ლეგენდად დადიოდა. გმირის სიკვდილით დაეცა გოგი. მტრის ხომალდებმა ალყა შემოარტყეს მის ნაბრძოლ და დანგრეულ ნავს, კაპიტანსა და ეკიპაჟს კი უსახელო სიკვდილი არ სურდათ, კურსი პირდაპირ მტრის ვეებერთელა სამხედრო ხომალდზე აიღეს, რომელსაც ათასობით ჭარისკაცი მიჰყავდა. გერმანელებმა ცეცხლი შეწყვიტეს და ელოდნენ, როდის ჩაბარდებოდა მათ საბჭოთა წყალქვეშა ნავი. გოგი თარხნიშვილის ნავმა მკერდით გაანგრია ხომალდი, თვითონაც აფეთქდა და მტერიც ჩაიყოლია. ზღვის უფსკრულში.


მისებრ გაბედულ ვაჟკაცობაზე წერს იაროსლავ იოსელიანი, თვითონ გმირი და ვაჟკაცი, რომელზეც სამხედრო-საზღვაო მატიანე ძუნწად იტყობინება: ჩაძირა ასეულობით ტანკითა და თვითმფრინავით დატვირთული მტრის ხომალდები და კატარღები. ზღვის უფსკრულში მიუჩინა მარადიული სამყოფელი მისი სამშობლოს დამონების 43 423 მოსურნეს.

ასეთ ვაჟკაცებზე სვანები ლეგენდებს თხზავდნენ. წინაპართა მამაცობას სიმღერად იტყოდნენ ხოლმე და მათ გაფართოებული თვალებით შესცქეროდა პატარა ცისფერთვალება ბიჭი.

მახვშებმა გმირად გაზარდეს ეს პატარა სვანი ბიჭი.

ჯემალ ქურხული

ლრუბლებზე ამაღლ



სურათებზე: სვანური ამოზნევები — ჯიხვის რქიდან დანახული კოშკი; ორთვიანი უშბა; ახალგაზრდა სვანი.



აკაკი გელოვანი

სვანის ღირსება

მწვერვალები თეთრი ქუდით იმშვენებენ თავს,
როცა სვანი საქართველოს სადღეგრძელოს სვამს.
საჯიხვეში თეთრი დალი სხივთა რიდეს რთავს,
არწივები დაჰყივიან ჯინგითაუს მთას:
— საქართველოს რას ახსენებ, თუ არ იცნობ სვანს!
ძვირფას სტუმარს საკლავს უკლავს, წყნარად
უკრავს ჩანგს,
უკვალავი ბილიკებით მიგიკვალავს გზას,
მეგობრისთვის ეჭიდება ბურუსსა და ჯანღს,
თუ სამშობლოს სამსახურში ხარჯავს თავის ჯანს, —
ხალას გულში ნაღვლის ნასახს ვერ უპოვი სვანს.
მტერთან მტრობა, მეგობართან მეგობრობა სწამს,
მოყვრისათვის შეეხლება მეწყერსა და ზვავს,
მყინვარებში იყინება თუ სახმილი წვავს, —
არ გაგწირავს, არ გიმუხთლებს არსად არა წამს,
მიგინდობს და მოგენდობა, თუ ენდობი სვანს!
მწვერვალები თეთრი ფიფქით იმშვენებენ თავს,
როცა სვანი საქართველოს სადღეგრძელოს სვამს...
მაგრამ კაცმა თუ გასწირა, ორბი დაჰკრავს ფრთას,
მაშინ შავად ეღუშება თეთრი შუბლი მთას,
ცის და მიწის რისხვის დავლა მიაქვს ხევში ზვავს.
გუგუნებენ ნაპრალები, მთა გასძახის მთას:
„ღმერთმა ჩვენი თეთრი ქუდი დაჰკრას კუპრის
ზღვას,
ჩვენი შვილი სიყვარულში თუ ჩამორჩეს სხვას!
სიძულვილით ვინც შეხედავს, სინანულით ზღვას,
და ძმას ნახავს, ხალას გულში ვინც ჩახედავს სვანს“.
ბილიკების ბადე სერავს სოფელსა და ხევს,
საჯიხვეში მონადირე ციურ წყაროს სვამს,
კუშტი უშბა მჭისი შუბლით ნისლის რიდეს ხევს,
ზვავის ენით გადმოსძახის ჩვენს ზღვასა და ხმელს:
„არასოდეს გაგაწბილებს, თუ ენდობი სვანს!“

ზაურ ბოლქვაძე

მითხარით!

სიმღერის მეფე „ლილეო“
ბრძანებლობს მზიდან მიწამდე...
თუ აქ სვანეთი ილევა,
მაჩვენეთ, სადაც იწყება!
დამდუმებელი ბაგეთა,
ეს ხმაა რომელ მდინარის?
თუ მზე შორსაა აქედან,
მაშ, მზესთან ახლოს ვინ არის?
მუხლებში ძალა მელევა,
წინწასვლით დაშინებული;
ეს თუ პატარა ღელეა,
რაღაა მაშინ ენგური?
ეს ხარ-ირემი აბღავლდა,
თუ მეხი მეხობს მთავარი?
მითხარით, უშბა რაღაა,
თუ ეს უბრალო მთა არი!
ვინ ზარდა იავნანურით
ეს ამირანი — კლდეტანი;
თუ ეს კოშკია სვანური,
რაღაა კოშკი ნესტანის?
ცაზე ღრუბელთა ფთილები —
გაფრენილ მერნის ფაფარი...
თუკი ეს სინამდვილეა,
რაღაა მაშინ ზღაპარი?

გალაკტიონ ტაბ[იძე]

სვანის დაბ[რუნ]

ნახა ევროპის ქალაქები სხვანი და სხვანი,
როდესაც მტერი ძირს განერთხო ნიდაბახდილი.
ახლა საყვარელ სამშობლოში ბრუნდება სვანი,
ბრუნდება სვანი სამშობლოში ომგადახდილი...

სანახაობა დიდებული თვალწინ იშლება:
ტალღისებური გრეხილები მთავარი ქედის,
უმშვენიერეს მწვერვალების გულგაშიშვლება
მუდმივი თოვლის ლაჟვარდოვან სივრცეში შედის.

უშბა, თეთნულდი, იალბუზი მძლე მყინვარებით,
მიუდგომელთა ციცაბ კლდეთა მშვენიერება,
სუნთქვისშემკვრელი უფსკრულები ამღელვარებით,
ჩაბნელებულან ფერდობებზე ვრცელი ტყეები.

გარემო მა[ლების უსასრულებს გა]
მიყვარს ეს [მძლავრი პარმონ]
ივი მოისმ[ინ, კვით ციურად გ]
ხმა მრავალ[ათას მუსიკალურ]

თეთრად მი[ნათელ ქედის მაღალ]
ფანჯრების [წყლ რომ ახლოდან]
ამ გამაგრე[ბულ ციხე-კოშკში]
ხალხი, რომ[ელსაც დღეს ბედნიერ]

...მხარემ, რ[ომელსაც დიადნი]
მხარემ, რო[მელშიც ფიქრობდა და მო]
გამოიღვიძ[ა ხალხი მშვენიერი ძლ]
ისევე დგას[ენ მშვენიერნი ძლ]

ენგურის პირას, ხაიშთან, ერთი სალი კლდეა, შვეული და ისე კრიალა, რომ ზედ ჩანჩჩერის შხეფები ირეკლებიან. ხავსი ვერ მოჰკიდებია. მხოლოდ ერთი ურსულავაზი აჰყოლია უხილავ ბზარს და უფსკრულის თავზე მის მრგვალ ფოთლებს ნიავი ათამაშებს, ქვესკნელი შთანთქმით ემუქრება, ის კი, სადღაც კლდის გულში შლის ფესვებს და არ ჭკნება. არ ეშინია არც ავდრისა, არც ზვავისა, არც კლდის ჩაწოლისა.

ეს უსურვაზი შეუპოვარ სვანს მოგვაგონებს, მასავით კლდეებში ფესვგადგმულს. ძნელბედობას გამოუტარებია საქართველოს ეს კუთხე, დაუცავს, შეუნახავს, უამთა სოვისთვის ქედი არ მოუხრია და ამაყს, თამამს, ლაღად მხრებგაშლილს დღევანდლამდე მოუტანია ქართული სული.

ქვეყნიერების ყოველი კუთხე თავისებურად მომხიბლავია. მაგრამ როცა ადამიანი სვანეთშია, უველა სხვა მხარე სიმაღლეს კარგავს. ჩრება იმ ტაძრის სიმაღლე, რომელსაც სვეტებად შესდგომიან უშბა, შხარა, თეთნულდი, ინგითაუ... ამ გოლიათების კალთებზე, აქ, ცასთან ახლოს ოდითგანვე ცხოვრობენ შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე სვანები.

ამბობენ, სადღაც ამ მთებშია მიჯაჭვული ამირანიო. მოხუც სვანებს ეს ისე სწერათ, როგორც ის, რომ თეთნულდი სვანეთშია.

ლეგენდა ამბობს, ვაჟკაცთა ერთმა გუნდმა უღელი არ დაიდგა, ბარი მიატოვა, ენგურს აჰყვაო. მთებში ავიდა, საჯიხვეებში დამკვიდრდა. მზეს დაეძებდნენო ვაჟკაცები, სინათლის დედას და მიჰყვებოდნენო ფრიალო ქედებს. მაშვრალთა სამკვიდროს ხალხმა მ.მაცთა სავანე — სვანეთი უწოდაო...

ბრძოლისა და შრომის ეკლიანი გზა გაუვლია გამრჯე სვანს იმ შორეული წარსულიდან, როცა კოლხეთში არგონავტებმა ილაშქრეს. იყო დრო, როცა სტრაბონის თქმით, „სვანებს ჰყავდათ მეფე და სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭო“. მერე აქ ვარდანიანი მთავრობდა, რეჩგიანები, გელოვანები, დადეშქელიანები ბატონობდნენ. დღეს მას ხალხი განაგებს. კოშკები ძველია, ადამიანები — ახალი.

სვანეთს ერთი სკოლა ჰქონდა: ბუნების სკოლა. მას ეხიზნებოდა, მას ეწირებოდა. ამ სკოლაში იზრდებოდნენ მამაცი ვაჟკაცები, მთათა დამპყრობლები, მომღერლები, მონადირეები, უსახელო პოეტები.

სვანეთის ახი ეკლესიაც საქართველოს სიწმინდისა და თავისუფლების სადარაჯოზე იდგა. უშგულის ღვთისმშობლის, კალის წმინდა კვირიკეს, წვირმის, მუჟალის, ლატალის მაცხოვრის, ფხოტრერისა და ჰადიშის მთავარ ანგელოზის, ლახამულის წმინდა გიორგისა და სხვა ძველი სამლოცველოები დღესაც დგანან წარსულის ძეგლებად.

თათრების წართმეული ხატჯვარი მთაში გამოქვაბულში შეუტანიათ, მთელი სვანეთის ფიჭა გადაუდნიათ, ცვილის ეკლესია აუშენებიათ. შიგ შეუნახავთ ოქროს ჯვრები, ვერცხლის ხატები...

უშგულს გადმოსცქერის სიწმინდის სიმბოლო-თეთრი ტაძარი. თუ ლეგენდას ვერწმუნებით, ოდესღაც იმ ტაძრის გუმბათი ცასა სწვდებოდა და ადამიანები პირდაპირ ცაში ადიოდნენ. „ლილეოს“ ჰიმნი ღმერთებს ამშვიდებდა.


უზენაესმა სვანს, როგორც ახლო მეზობელს, სიმღერა აჩუქა. სვანი სამართლიანად ამაყობს თავისი სიმღერა — ჰიმნებით: ლილეო, რიჰო, ელღრიდივო, ზარი, კვირია, ადრეკილაი, ბეთჭილი... ეს სიმღერები საუკუნეების მანძილზე სრულდებოდა სვიფზე ან ლამარიაზე.

უგზო და უმარილო სვანეთი! [სიკეთის გზა არ იყო, თორემ შ]მშილი, ყვავილი და ქოლერა ი[ქ]ლად პოულობდა გზას. ხალ[ხ]გულს არ იტეხდა. მთები უკეთ დროს ელოდნენ: კოშკის ღრმა სძირკველში ზისო სვანი ბუმბერ[ა]ზი და სჯიროების ყამს ხანჯა[ლ]ზი და სჯიროების ყამს ხანჯა[ლ]შეარხევსო. ამ დროს ელოდა [ს]ლი კლდის ვეფხვთა მშობელ[ი] მხარე, ჯვრის კოშკიდან თამარ კოშკამდე რომ მიჰყვება ენგურ[ი] სვანეთის „მთავარ ქუჩას“.

ზერელედ მოაზროვნე ადამიანებს ბევრი უწერიათ სვანეთ[ზე] „ჩამორჩენილობაზე“, სიხლ[ის] ღებაზე, ქალის გატაცების ჩვ[ე]ულებაზე... განა შეიძლება ჩამო[რ]ჩენილი იყოს ხალხი, რომელმ[ა] არქიტექტურის უნიკალური ძ[ე]ლები ააგო, გამძლე წყალსადენ[ე]ბი გაიყვანა, კოშკებში დაც[ვ]ული ხელნაწერები შეინახა და უძველესი სვ[ა]ნური ხელნაწერები: განა სვანთა [მ]ოგონილია ქალის გატაცება და სიხლ[ის] ღება? მსოფლიოს ბევრ ხალ[ხ]

მაღლეგული





ციური ტაძრის თავსვეტი

შია ეს შემჩნეული და დადასტურებული.

სვანეთი საქართველოს განძსაცავია, მაგრამ სვანეთი არა მარტო იცავდა განძს, არამედ ქმნიდა ღირებულებას, რასაც მნიშვნელობა არც დღეს დაუკარგავს. სვან მჭედელთა, ხეზე მკვეთელთა, მერქუჭურომეთა, მშენებელთა ხელოვნება ღირსია მოწიწებისა და აღტაცებისა.

სვანეთი არწივთა ძველი საბუდარია. მრავალი ფრთალაღი არწივი აფრენილა ამ სავანიდან და საქვეყნოდ განუთქვამს სახელი „ათასი კოშკის მხარისთვის". არწივები მზეს ესწრაფოდნენ.

აქედან აფრენილ არწივებს უბრძოლიათ თამარის დროშის ქვეშ და თვითონ მზეთამარი ჩახულა ვაუკაცთა სავანეში, კოშკები უშენებია. ეს ძველად, მაგრამ ახლა? დღესაც მრავალი გამოჩენილი სვანის სახელია საქვეყნოდ ცნობილი. საკმარისია დავასახელოთ ლეგენდარული წყალქვეშელი, პატრიოტი, მწერალი — მარქსისტი იაროსლავ იოსელიანი. სამშვიდობოს მატიანეშია შესული ისმაილ გირგვლიანის, გალაკ ნიჟარაძის, ფრიდონ ყორუოლიანისა და სხვათა სახელები.

სვანი მთამსვლელები მიუძღოდნენ საბჭოთა მეომრებს იმ ჭუჭყიანი დროშის ჩამოსაგდებად, ჰიტლერელებმა 1942 წლის 21 აგვისტოს კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზე რომ აღმართეს. დღემდეც აღმოჩნდა სვასტიკიანი ალმის სიცოცხლე!

დღეს ბედნიერი და ლაღი სვანი ბუნების სტიქიას შეჰბმია, მოსავლს იღებს, თივას ეზიდება, მეწყერისაგან წალეკილ ბიდებსა და გზებს ანახლებს. აი მუხლამდე კოლმეურნეებს ჯექე გუჯეჯიანს, ცოყო გოგანს, ლეონტი ნავერიანს, ბაჯუ გოგანსა და სხვებს ათობით ჰექტარი უსარგებლო მიწა მობიბინე სათიბებად უქცევიათ. შრომის ჰიმნი გუგუნებს ამ განახლებულ მიწაზე. ახალ სვანეთს უმღერიან ღვაწლმოსილი პლატონ დადვანი — როსტომ ჭაბუკიანთ უბერებელი ოსტატი, მისებრ დაუცხრომელი ჯოკია მეშველიანი, 80 წლის თეთრულვაში კონსტანტინე გვიჩიანი, რომელმაც ახლახან ლაურეატობა მიიღო, ლატალის გუნდის მეთაური ალექსანდრე გვიჩიანი, დადეშქელიანი და სხვანი.

კიდევ უფრო ამაღლებულა, დამშვენებულა სვანეთი და აბა, რა გული გაგიძლებს, არ უმღეროს, ხოტბა არ შეასხა მის მშვენებას? ჩამოდით, ნახეთ.

ღრუბლებზე ამაღლებული
ციური ტაძრის თავსვეტი,
ბრძოლაში გალაღებული,
შრომაში განახლებული,
თავისუფალი სვანეთი!

აკაკი გელოვანი

გამოჩენილი ადამიანები სვანეთის შესახებ

სვანები არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლეთ მუშაკნი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართებელნი, მთათა, სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სიკვდილისა არა მომხსენენი... პირველად იყო ეგრისის საერისთაო და აწ უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თვისად და არღარავის მორჩილებასა შინა... სვანები თავის ქვეყანას უწოდებენ შვან და თავისთავს მუშვან (მოსვანე). პლინიუსით არიან სუანი. ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ამ სიტყვისა შეიძლება იყოს: 1. შუანი, ესე იგი შუა ადგილი, რადგან მართლა უჭერიათ შედარებით სხვა ქართველებთან საშუალო ადგილი, გარმოზღუდული მაღალის მთებით, და 2. სვანეთი, ესე იგი ადგილი ვანებიანი-სახლებიანი.

ვახუშტი ბაგრატიონი

სოანი (სვანნი) ძლიერი ხალხია, მგონია, ისინი ვაჟკაცობითა და სამხედრო ძალ-ღონით თითქმის ყველა აქაურ ხალხებზე ძველნი არიან. ცხოვრობენ კავკასიონის მწვერვალზე, დიოსკურიის ზემოთ, და ხელმძღვანელობენ გარშემო მოსახლე ერებს. ჰყავთ მეფე და საბჭო, რომელსაც შეადგენს 300 კაცი, და ამბობენ, შეუძლიათო საომრად გამოიყვანონ 200.000 მეომარი, რადგან მთლიანად ეს ხალხი მეტად მამაცი მეომარია, თუმცა სამხედრო წესი არ იციან. ამ ქვეყნის მთის ნაკაწრულებზე ოქროა, რასაც ილეზენ ძირდახვრეტილი კასრებითა და ხარჭისებით, და ალბათ ამის გამო წარმოდგა გადმოცემა ოქროს ხარჭისის შესახებ...

სტრაბონი

სვანები ქრისტეს დაბადებამდე მეოთხე საუკუნეში დასახლებულან საბოლოოდ იმ ორ ხეობაში, სადაც დღეს ცხოვრობენ: ცხენისწყლისა და ენგურის გაყოლებით, თუმცა მათი ძველი სამფლობელო ბევრად უფრო ფართო ყოფილა. სვანეთი ანუ სამკვიდრო (ქართულად სავანე) შეიქმნა მეფე საურმაგის დროს. ეს იყო საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის შვილი. ამ ფარნავაზმა დიადოხ პერდიკასის სიკვდილის შემდეგ (321 წელი ძველი წელთაღრიცხვით) საქართველოდან [illegible] დაიწყო [illegible] და შექმნა. ქართული დამწერლობა, უზრუნველყო ქვეყნის დამოუკიდებლობა. სვანებს იმ ხანებში სტრაბონის, პლინიუსის და სხვათა ცნობით, 200.000 მეომრის გამოყვანა შეძლებიათ. მერე საქმე შემცირდა. სვანეთის გამო ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს და მისმა ანუშირვანის (530-578) დიდის შეხვედრა სვანები ფორმალურად ამ უკანასკნელს მიაკუთვნეს, მაგრამ ფაქტიურად არასოდეს არიან მორჩილებაში არ ყოფილან. ეს არის ჭეშმარიტი სტუმარ-მასპინძლობა, სუფთა და სანიმუშო ურთიერთობის ხაზი, რომელიც მე კარგა ხანია [illegible]...

გიორგი მერჩულისძე

უმაღლეს მთებს შორის გადაჭიმულა სვანეთი, ეს პატარა კუთხე, რომელიც თავისი ბუნებითა და ხალხით სრულიად განსაკუთრებულია... სვანეთი ლამაზი და საინტერესოა. სამხრეთის ქართველები ისეთივად ესტეტიურებიან ამ ცივ მხარეს და მის ხალხს, არც ერთი პოეტი და მხატვარი სვანეთს არ სწვევია. სვანეთის კარდა აღწერა შეუდგამს გურჯისტანის შესანიშნავ მხარეში, რომელშიც გადაიარა სვანეთი და იქიდან აღფრთოვანებული და უშიშარი ამ ორი ბეშმერაზის და მათ შორის სხვა მგზავრების გადასასვლელი შეუდარებელი და უშიშარეთია მთელს კავკასიონის ქედზე...

არტურ ლაისტი

ქვემო და ზემო სვანეთში შენახულია ხელოვნების ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა... საშრომის ქამს ჩვენი მატერიალური და კულტურული სიმდიდრე აქ შედარებით ჯერ იყო დაცული.

აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი

სვანეთში ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და ხელოვნების შედეგრების ისეთი რაოდენობაა შენახული, რომ შეიძლოდ ქართული კულტურის ისტორიას ძვირფასი ფურცლები დააკლდებოდა.

აკადემიკოსი ნიკო მარი

სვანის გულში ჩაწვდომა ისეთ საინტერესოა, როგორც სვანეთის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლა.

იოსებ სტირსა

სვანი მოცეკვავეების გამოჩენა სცენაზე მთიდან ზვავის ჩამოწოლასა ჰგავდა. პლატონ დადვანის გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები, შესრულების ტექნიკა განსაცვიფრებელია და დიდხანს ასაზრდოებს ხელოვნებას...

ილიკო სუხიშვილი,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

მთებო, გვაჩუქეთ წუთები...

სახელგანთქმული მთამსვლელი, იტალიის დოლომიტებში ტრაგიკულად დაღუპული „კლდის ვეფხვად“ ცნობილი მიხეილ ხერგიანი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო კლდეზე ცოცვაში.

გთავაზობთ ნაწყვეტს მირონ ხერგიანის წიგნიდან „ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია“, რომელსაც ავტორი გამოსაცემად ამზადებს.

ქრიანი დილა იდგა. დამსვენებლებმა ის-ის იყო ზღვის სანაპიროზე მოიყარეს თავი, რომ ვიღაცის ხმამაღალი შეძახილი გაისმა:

— შეხედეთ, შეხედეთ, აი საოცრება!..

ხალხი მართლაც უცნაური სანახაობის მოწმე გახდა:

„კრესტოვაია გორას“ შვეულ კლდეებზე თოკმობმული ადამიანები დაცოცავდნენ. თითქოს სიცოცხლე მოჰბეზრებიათო, უფსკრულებს ახტებოდნენ თავზე. მაგრამ დამსვენებლებს შიში მალე გაუფანტათ — დარწმუნდნენ, რომ ეს უცნაური ადამიანები საკმაოდ თავისუფლად გრძნობდნენ თავს სიპებზე

მაშინ ყირიმში, „კრესტოვაია გორას“ კალთებზე გამართულ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე სამოცამდე „კლდის ოსტატი“ მონაწილეობდა. ბევრი რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა იალტაში ტრასის გასაცნობად, მუხლის გასაშლელად და „ბრჭყალების გასალესად“.

აქ იყო წინა წლის ვერცხლის მედალოსანი კლდეზე ცოცვაში, ალმათელი სპორტის ოსტატი კოსმაჩოვი, რომელმაც რაღაც წამები წააგო პირველ ადგილზე გამოსულ სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, „კლდის ვეფხვად“ წოდებულ მიხეილ ხერგიანთან წლეულს კოსმაჩოვი შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მით უფრო, რომ მისი უპირველესი მეტოქე მიხეილ ხერგიანი არ ჩანდა — ჯერაც არ დაბრუნებულიყო ტიან-შანის ექსპედიციიდან.

— იქნებ ვერც მოასწროს ჩამოსვლა?“ — ფიქრობდნენ შეჯიბრების მონაწილენი. მათ, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდათ მიხეილის ჩამოუსვლელობა — ამ შემთხვევაში ისინი თითო ადგილით წაიწევდნენ წინ. კოსმაჩოვსაც ჰქონდა თავისი გეგმები. იგი სწორედ „შურისძიების“ გრძნობამ ჩამოიყვანა მთელი კვირით ადრე ყირიმში. მან მშვენივრად იცოდა: წინ გრძელი და ძნელი გზა იყო. ამიტომ მთელ ზაფხულს გულმოდგინედ ემზადებოდა ამ დღისათვის. ახლა კი ყოველ დილით გაუთენებლივ გადიოდა ტრასაზე და მონადირის თვალით შვერავდა ასასვლელ ბილიკებს.

„რამდენიმე წამი... სულ რამდენიმე წამი... ხომ შეიძლება იმ წამების დაბრუნება?“ ფიქრობდა იგი თავისთვის და გუნებაში საგულდაგულოდ ადგენდა „კრესტოვაია გორას“ მიკრორუკას. იყვნენ სხვა „შურისმაძიებლებიც“. ყოველი მათგანი ფიქრობდა წამებზე, წამის მეათედებზე, მეასედებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოეტაცათ კლდეებისათვის და რომელთაც მათთვის გამარჯვება უნდა მოეტანა.

* * *

დრო კი გადიოდა. თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა კარვების ქალაქი. მოდიოდნენ მამაცთა შორის უმამაცესი ადამიანები. „კრესტოვაია გორას“ კალთებზე აბლაბუდასავით დაიქსელა მთამსვლელთა თოკების ხლართი.

* * *

და ისევ ბურუსით მოცული რჩებოდა მთავარი საკითხი: გამოვიდოდა თუ არა ამ შეჯიბრებაში ხერგიანი, მოასწრებდა თუ ვერა ტიან-შანიდან დაბრუნებას?

* * *

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ორჯონიკიძემ სპორტის ოსტატმა, ალპური ბანაკის „ჯაილიკის“ დირექტორმა ზოლოტორიოვმა თანამსაჯებს ტრასის დაგეგმვა დაავალა. გაჩაღდა სამზადისი. ბრძოლის დაწყებამდე ორიოდე დღე რჩებოდა.

* * *

„მაგრამ სად არის ხერგიანი?“ — კითხულობდა ხალხი, კითხულობდნენ მონაწილენი.

მთავარი მსაჯი მხრებს იჩეჩავდა. მიხეილი არა ჩანდა. იქნებ ხელი ჩაიქნია — შარშან წამებითღა გაასწრო კოსმაჩოვს, მხოლოდ წამებით, რომელიც მთელი ათი წლის მანძილზე კლდის ერთპიროვნულ „მეუფედ“ ითვლებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერც მიუახლოვდა ვინმე მის მაჩვენებლებს. ამიტომაც კოსმაჩოვის შარშანდელი „წარმატების“ ამბავი სენსაციად იქცა. და ახლა ფიქრობდნენ:

„იქნებ მართლაც ხელი ჩაიქნია მიხეილმა? „მჯობნის მჯობი არ დაიღევაო“, მასაც ხომ უნდა აჯობოს ვინმემ?“.

* * *

ყოველივე ამას გრძნობდა თვითონ მიხეილიც. მისი აზრით, შარშან, პირველი ადგილი, მხოლოდ უზადო ტექნიკისა და სანახაობისათვის მიაკუთვნეს მსაჯებმა.

„რა იქნა სისწრაფე?

რა მოუვიდა ლეხზირისა და დალაყორას ქარაფებზე ადგმულ ნაბიჯებს?“

„ხოლო სვანი მონადირეები ასი წლისანი დაძუნძულებდნენ ჯიხვების კვალდაკვალ... სვანი მონადირეები, ჩვენი წინაპრები.“

ორთვიანი შორეული ექსპედიციიდან დაბრუნებული „კლდის ვეფხვი“ სწორედ ამ ეჭვებით გაუდგა გზას ყირიმისაკენ. ასეთი გრძელვადიანი ექსპედიციები სხეულს სისწრაფეს არ ასწავლის. პირიქით, — ადუნებს, სიზანტეს აჩვევს, კლდეზე ცოცვას კი საგანგებო მომზადება — ვარჯიში სჭირდება. მარტო სიმსუბუქის გრძნობა როდი ნიშნავს კარგ სპორტულ ფორმას. ამის მიუხედავად, იგი მიდიოდა იმედით, მიდიოდა გამარჯვების რწმენით.

მაგრამ მოძალებული ეჭვი საკუთარი შესაძლებლობისადმი უნდობლობას იწვევდა. სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს უფრთხობდა. არა, არ უნდა დარღვეულიყო სულიერი მყუდროება!

* * *

შეჯიბრების წინა დღეს, ახალგამოღვიძებულზე მთამსვლელებმა შენიშნეს, ბანაკს კიდევ ერთი კარავი მომატებოდა, — პირამიდისებური, ცისფერი. ცისფერი კარავი კი მიხეილს უყვარდა. მაგრამ... ახლა იგი ცარიელი იყო. მერე ვიღაცამ დილის ბინდბუნდში ქიმებზე გაკრულ სილუეტებს მოჰკრა თვალი. ასე ადრე ჯერ არავინ გასულა კლდეებზე სავარჯიშოდ. ესენი კი ამ ბანაკის ტრადიციას არღვევდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებმა— „კოლმეურნის“ წევრმა მიხეილ ხერგიანმა და „განთიადელმა“ თ. ბაქანიძემ გადაწყვიტეს დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად გამოეყენებინათ და ალპინიზმის მასწავლებლებს ნათ და ალპინიზმის მასწავლებლებს.

* * *

მეორე დღეს მსაჯის სასტვენის ხმაზე ტრასაზე სხვადასხვა ნომრით გასულმა ქართველებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს: „როგორ ივლიან შეუჩვეველ ბილიკებზე?“ საერთოდ გამოცდილი მთამსვლელები ამ დროს ბოლო ნომრებად ცდილობდნენ ხოლმე გასვლას. ახლა ერთხელ კიდევ ეძლეოდა კაცს საშუალება დეტალურად აეღქვა გზა, პრაქტიკულად დაკვირვებოდა გასასვლელ ტრასას, გამოეზომა და მოენიშნა ფეხის დასადგმელი ადგილები და გაეთვალისწინებინა შემოსავლელი „მარყუჟების“ პირდაპირი გადაჭრის შესაძლებლობანი. და როცა მიხეილს სთხოვეს, როგორც საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონს, ამოეღო მონაწილეთა ნომრები, მან ეს შეადგინა სწორედ ალმა-ათელ მეგობარს დაუთმო.

შეჯიბრება დაიწყო, მიხეილი ტრასაზეა.

„სვანი მონადირეები ასი წლისანი დაძუნძულებდნენ ჯიხვების კვალდაკვალ, — ფიქრობდა გზაზე მიხეილი, — მუხლიც უჭრიდათ და მკლავიც“.

გავლილია თითქმის ნახევარი კედელი, გავლილია კარგად, მაგრამ საჭიროა მეტი სისწრაფე, საჭიროა წამები. ეს წამები კლდეს უნდა გამოსტაცოს, აუცილებლად უნდა გამოსტაცოს. და უკან ქვეყნიდან ვემხრი შესული გულშემატკივრების ძახილი შემოესმა: მიშა, მარჯვნივ! მიშა, მარჯვნივ!

მაგრამ მიხეილი მაინც პირდაპირ მიცოცავს. კედელს აკვრია და მიცოცავს. ცალი ფეხის დასადგმელიც აღარსად არის, ორივე ფეხს ჰაერში აფართხალებს, ხელებით ჰკიდია შვერილზე. თითები ებრძვიან კლდეს, ეძებენ ღრეჩოებს, პორებს... საბერველივით ქშინავენ ფილტვები და მონადირული, ნახევრად მოჭუტული თვალები მთის გლუვ ზედაპირზე დარბიან... ქვევიდან კვლავ ისმის სასოწარკვეთილი ყვირილი.

— მიშა, მარჯვნივ!! — მაყურებლებში ჩოჩქოლია.

მიხეილი კი ავიდა მაღლა, მერე დაეშვა ძირს და ორი მოგებული წუთით მივიდა ფინიშთან. იმ ქიმს სხვა ვერავინ აახტებოდა. ის ქიმი ორი წუთი „ღირდა“.

— იმ ქიმისთვის რომ შემებედა, იქნებ რაღაცა გამომსვლოდა, — გაუცხადა თავის გულშემატკივრებს მეორე ადგილზე გამოსულმა კოსმაჩოვმა, — მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, იქ ძებორციელი თუ მოიკიდებდა ფეხს!

მაღლა კლდის გასწვრივ ლურჯად გადაფერილ ცაში არწივი ბოინობდა. იგი გამარჯვების კამარას ჰკრავდა მამაცი ადამიანის თავზე.

მირონ ხერგიანი



„კლდის ვეფხვი“ მიხეილ ხერგიანი. ქანდაკების ავტორია ვახანგ ონიანი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

მოქანდაკე, მხატვარი, პოეტი...

ვახტანგ ონიანის შემოქმედებას, მის სკულპტურულ თუ გრაფიკულ ნაწარმოებებს კარგად იცნობს ფართო საზოგადოებრიობა. იგი იმ შემოქმედთა პლეადას ეკუთვნის, თავიანთ ქმნილებებს ჯადოსნურ სულს რომ შთაბერავენ და პოეზიად აქცევენ. ვახტანგ ონიანის შემოქმედება — ეს არის სილამაზის, სიკეთის დიდება, ბუნების გამომზეურება, ადამიანის სულიერი სიწმინდის ხოტბა.

რასაც უნდა ძერწავდეს იგი, ქართველ ქალს თუ კავკასიის დამცველთა სკულპტურულ პორტრეტებს, სვანური ზღაპრების ჯადოსან დალის თუ ვაჟა-ფშაველას, მისი ქმნილებები სუნთქავენ ეროვნული სულით, გვხიბლავენ სინატიფით, ელასტიკურობით, საოცარი პროპორციულობითა და ეკოციურობით.

„ვახტანგ ონიანის სკულპტურული პორტრეტები და კომპოზიციები მკაცრი, მონოლითურია, მაგრამ მსუბუქი ასიმეტრია, დეტალთა ფაქიზი ხატვა პლასტიკურობის ცოცხალ გრძნობას ბადებს, რომელთა წყალობითაც ადამიანურ განკადათა და ფიქრთა დაძაბულ სამყაროს შევიცნობო. მის მიერ შექმნილი სახეები, განსაკუთრებით ქალთა მრავალრიცხოვანი პორტრეტი უშუალო განცდით არის ხორცშესხმული“ — წერდა ჟურნალი „ტვორჩესტვო“.

უკანასკნელ ხანს მხატვარი მდიდარი სვანური ხალხური პოეზიითაც დაინტერესდა, პოეზიით, რომელიც მოიცავს ადამიანური სულის თითქმის ყველა სფეროს. ამ სათემელო, კეთილხმოვან ლექსებში პოეტურად არის წარმოჩენილი სვანების საგმირო თქმულებები, ურთიერთობის მწვავე სიტუაციები. ხალხური სასიმღერო ტექსტის რამდენიმე ვარიანტის საფუძველზე ვახტანგ ონიანმა აღადგინა, ლიტერატურულად დაამუშავა და დასურათა უძველესი სვანური ეპოსი „ბეთჭელ“, „გივერგილ“, „ვიცბილმაცბილ“, „ლებსუყვე ჯაჭვლან“. ჰუნიერსა და ჩანგზე დამღერებულმა ამ ნაწარმოებებმა ყამთა სელას გაუძლეს და ჩვენამდე მოიტანეს ხალხური პოეზიის განუმეორებელი სურნელება, ფაქიზი სული. ამ ნაწარმოებთა გამოცემით შესანიშნავი მარგალიტები შეემატა ქართული ეროვნული ზეპირსიტყვიერების მდიდარ საუნჯეს. ამ დღეებში გამოვა სვანური „ლადლერ“, ვახტანგ ონიანის ჯადოსნური ხელით მოხატული და პოეტური სულით ამღერებული.

შეუძლებელია უკეთ შეაფასო ვახტანგ ონიანის შემოქმედება, როგორც იგი შეაფასა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აწ განსვენებულმა ვიცე-პრეზიდენტმა ბორის კონსტანტინოვმა: „შეცდომაა პატარა გეწოდოთ ერს, რომელსაც ამოდენა მხატვარი ჰყავსო“.

ონიანის თაყვანისმცემლებს ახალ ნაწარმოებთ მოელიან მხატვრისაგან, ახალ შეხვედრებს მის ნაფიქრსა და ნაოცნებართან.



„დალი“

ვახტანგ ონიანის ნახატი.

ხუტა ბერულავა

ეშაშის წყაროსთან

მაშინ შეგნიშნე, როცა მუხებთან
თანატოლები დაგშორდნენ ოდნავ,
მეგონა გული დაიქუხებდა
და შენს წინ ფერფლად დაცვივდებოდა.
სვანებმა იგრძნეს შეკრთომა სტუმრის

და შეშფოთებით მომაპყრეს თვალი.
არ ვიცი პეშვით, არ ვიცი სურით
მომირბენინეს მუაშის წყალი.
— რას მიშველიდა მუაშის წყალი?!

ვინ იქნება მეორე?

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ნანა ალექსანდრიასა და ალა კუშნირის მატჩი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს კისლოვოდსკში, საჭადრაკო სამყაროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს სავსებით ბუნებრივია. თავიანთი საჭადრაკო რეპუტაციით პრეტენდენტები მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს ჩამოუვარდებიან. მაშ ახე, სრულიად ბუნებრივად დაისვა კითხვა — ვინ იქნება მეორე მოჭადრაკე მსოფლიოში?



ნანა ალექსანდრია

ნანა ალექსანდრიას, რომელსაც ამას წინათ 22 წელი შეუსრულდა, დიდი წარმატება აქვს. იგი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონია, ბელგრადის, ბევერვეიკისა და თბილისის დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების პირველი ჯილდოს მფლობელი. ნანასათვის ტრიუმფული გამოდგა ბოლო საჭადრაკო სეზონი. ჯერ იყო და, ქართველი მოჭადრაკე დეკემბერში ბრწყინვალედ გამოვიდა იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში, სადაც ევროპის ჩემპიონობის თასის გათამაშება იყო. როგორც 1969 წლისათვის ნონა, ახლა თასს ნანა დაეუფლა. გაზაფხულზე ნანა ალექსანდრია კვლავ გაემგზავრა იუგოსლავიაში, სადაც მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირი გაიმართა. შედეგი იგივე იყო — პირველი ადგილი! ამას გამოჩენილ იუგოსლაველ ოსტატ მილუნკა ლაზარევიჩთან მატჩის მოგება მოჰყვა (5,5:4,5). ახლა კი ნანა კუშნირს ეპაექრება.

მაშ ახე, მიმდინარეობს პრეტენდენტთა ფინალური მატჩი.

ამ დღეებში ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს, ჭადრაკის დედოფალი მიიჩნევს, რომ ალექსანდრია მეტოქეს სჭარბობს შემოქმედებითი თვალსაზრისით, კუშნირს კი დიდებული სპორტული თვისებები აქვს. ისე რომ, ნონას აზრით ამ შეხვედრაში გამარჯვებულის დასახელება წინასწარ შეუძლებელია. ვნახოთ!

მეტოქეები საგანგებოდ ემზადებოდნენ ორთაბრძოლისათვის. კუშნირი თავის მწვრთნელ ოსტატ ვლადიმერ იურკოვთან ერთად აკლიმატიზაციის მიზნით ერთი თვით ადრე ჩავიდა კისლოვოდსკში. მოჭადრაკეები, როგორც ცნობილია, სხვადასხვა მეთოდებით ატარებენ საწვრთნელ ვარჯიშს. უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებების წინ ზოგი თამაშს აჯობინებს, ზოგი შინაურ სიმყუდროვეში სამზადისს. კუშნირს ზაფხულში ტატიანა ზატულოვსკაიასთან მოგების (5,5:4,5) შემდეგ არსად უთამაშია. მთელი დრო თავისი სადებიუტო რეპერტუარის განმტკიცებას მოანდომა, მეტოქესათვის სიურპრიზებს ამზადებდა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ნონა გაფრინდაშვილთან ჩატარებულ მატჩებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ თეორიული მომზადების მხრივ კუშნირი ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე იდგა. იგი ძალიან ხშირად ახერხებდა ისეთი პოზიციების მიღებას, როგორც სურდა.

ალექსანდრიამ მომზადების სხვა გზა აირჩია. იგი ჩაება პრაქტიკულ შეჯიბრებაში — ვიქტორ გოგლიძის მემორიალში. აქ მან რამდენიმე ჩინებული პარტია ითამაშა (განსაკუთრებით ჰოლანდიელ ტიმანსა და მონღოლ უიტუმენთან). უდავოდ კარგად ივარჯიშა. შემდეგ დაიწყო კუშნირთან მატჩისათვის მომზადების მეორე პერიოდი — თეორიული. საშინაო „ლაბორატორიაში“ მომზადდა არაერთი „ნაღმი“, რომლის გარეშეც შეუძლებელია საჭადრაკო მიღწევებზე ოცნებაც კი.

როდესაც ჯილდოდ მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლება ეძლევა, მოჭადრაკე დიდ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის. ასეთი ორმხრივი აღმავლობის შემთხვევაში კი მატჩი, ეჭვგარეშეა, უაღრესად მაღალ შემოქმედებით და სპორტულ დონეზე ჩაივლის.

ბიჭი ბამრეკელი

სპორტული ქრონიკა

● დუშანბესა და ნალჩიკში გაიმართა პროფკავშირების საკავშირო პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონის სახელები დაისაკუთრეს ჭელიძემ და მორჩილაძემ (კლასიკური ჭიდაობა). ჩხაიძემ, დობორჯგინიძემ, მარსაგიშვილმა და მარშანიამ (თავისუფალი ჭიდაობა).

● 23 ნოემბერს ირანში დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. საქართველოდან საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში არიან ტარიელ ალიბეგაშვილი და ლევან თედიაშვილი.

● სახელგანთქმულმა სპორტსმენმა ზურაბ კოსტავამ, რომლის სახელთან ქართველი მეშვეტერების მთელი რიგი წარმატებებია დაკავშირებული, დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. სანამ დაშნას კედელზე ჩამოკიდებდა, ზურაბმა მონაწილეობა მიიღო რიგაში გამართულ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში. ქართველმა სპორტსმენმა ამ შეჯიბრებაში დაამარცხა ისეთი აღიარებული მეტოქეები, როგორიც არიან მსოფლიოს უძლიერესი დაშნით მებრძოლები კრისი, მონძოლევსკი, პორომინოვი ვოლეტოვი, დონინი და მხოლოდ ანიკინთან დამარცხდა. ვერცხლის მედლის მოპოვება ასეთ ასპარეზობაში მართლაც რომ კარგი საჩუქარია დიდი სპორტიდან წასვლის წინ.



ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში. ციფრების ენით თუ ვილაპარაკებთ, ეს ჩემპიონატი რიგით ოცდამეცამეტეა, პირველი ადგილი წილად ხვდა კიევის „დინამოს“, მეორე — ერევნის „არარატს“, მესამე კი თბილისის „დინამოს“. უკანასკნელ ორ ადგილზე გამოვიდნენ და უმაღლესი ლიგა დატოვეს ტაშკენტის „ფახთაქორმა“ და დონეცკის „შახტიორმა“...

როგორც იტყვიან, ყველას დამსახურებისამებრ მიეზღო. ვინც მოინდომა — საპრიზო ადგილზე გამოვიდა, ვინც ვერ შეძლო „ბურთაობა“ — დამარცხდა და ახლა მომავლის იმედითღა ცხოვრობს, ფიქრობს, რევანშს გაისისათვის ავიღებო.

გამარჯვებულებიც არ არიან გულხელდაკრეფილი და მომავალი, ოცდამეთოთხმეტე საფეხბურთო ჩემპიონატის თადარიგს ამთავითვე იჭერენ...

მათ შორის, ვინც მკერდი მედლით დაიმშვენა, თბილისის „დინამოც“ არის. ფაქტი თავისთავად სასიამოვნოა, მაგრამ არც ისე გასაკვირი. ყოველ შემთხვევაში, ვერცხლი და ბრინჯაო თბილისის „დინამოს“ არ აკლია. თუ ერევნის „არარატის“ წლევანდელი მიღწევა ფეხბურთის გულშემატკივრებს № 1 სენსაციად მიაჩნიათ, თბილისის დინამოზე ამბობენ, ბრინჯაო ოქრო როდიაო. როდესაც ქართველ ფეხბურთელთა უფროს მწვრთნელს, გამოცდილ აღმზრდელს გავრილ კაჩალინს ინტერვიუ ვთხოვე, მიპასუხა: „ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით, მაშინ ყველა თქვენს შეკითხვას სიამოვნებით ვუპასუხებდი, ახლა კი, როდესაც მე და ჩემი ბიჭები, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილების გრძნობას განვიცდით, საინტერვიუ რა გვაქვსო. შეკითხვებიდან მხოლოდ ერთზე — ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეზე მესაუბრა:



ბავრილ კაჩალინი

— მჯერა, თბილისის „დინამოს“ ხვალინდელი დღისა: ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გპირდებოდეთ, გაისად ქართველი ფეხბურთელები აუცილებლად ოქროს მედლებს მოიპოვებენ-მეთქი. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ეს ბიჭები ფეხბურთიდან ჩემპიონის სახელის გარეშე არ წავლენ. არგუმენტი? რამდენიც გნებავთ. გახსოვთ, რა დღეში ვიყავით ამ ორიოდე თვის წინათ? ბაქოში გამარჯვებას ტაშკენტსა და ალმა-ათაში დამარცხება მოჰყვა და მერვე ადგილზე გადავინაცვლეთ. ტაშკენტში გამანადგურებელი (5:1) ანგარიშით წაგების შემდეგ, ბევრს და სამართლიანადაც გვისაყვედურებდნენ გულშემატკივრები.

ამ კრიტიკულ მომენტში მოვახდინეთ ძალთა გადაჯგუფება, „დინამოს“ ბედ-იღბალი ჩავაბარეთ ფეხბურთელებს, რომლებსაც „დინამოს“ ხვალინდელი დღე ეკუთვნით და მათაც გაგვიმართლეს იმედი.

აი როგორ დაახასიათა კაჩალინმა ახალგაზრდა ფეხბურთელები:

— მეკარე თ ე ი მ უ რ ა ზ ს ტ ე ფ ა ნ ი ა 21 წლისაა. ახალგაზრდა ჭაბუკის დასტაქტებას დაუღალავად ემსახურება წარსულში სახელგანთქმული მეკარე სერგო კოტრიკაძე. ვფიქრობ, თავდადებული შრომით ქართველ მეკარეთა ტრადიციებს თეიმურაზი ღირსეულად გააგრძელებს. მის ნაკლზე გეტყვით — ერთობ მორიდებულია, დამცველებს რატომღაც იშვიათად მიუთითებს შეარჩიონ უკეთესი პოზიცია, კოორდინაციას არ უწევს საჯარიმო მოედანზე მათ გადაადგილებას. ეს კი ცუდია. მეკარე ხომ ყველაფერს ყველაზე უკეთ ხედავს ...ვფიქრობ, ასეთი მორცხვობა თანდათან გაივლის და თეიმურაზიც ბრძანებების გაცემას შეეჩვევა.

— დამცველი შ ო თ ა ხ ი ნ ჩ ა გ ა შ ვ ი ლ ი. ახლა თბილისის დინამოში იშვიათია ფეხბურთელი, მეტოქე რომ არა ჰყავდეს, შოთა კი თავისუფალია მეტოქეობისაგან. მისგან დიდი მასშტაბის ფეხბურთელი გაიზრდება. 20 წლის ასაკში ასე ჭკვიანად, ასე უშეცდომოდ არ მახსოვს სხვა რომელიმე დამცველს ეთამაშოს.

— ნახევარმცველი მ ე ს ხ ი ო ნ მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი. მან რამდენჯერმე ითამაშა წლეულს ძირითად შემადგენლობაში და, წარმოიდგინეთ, ყოველთვის უკეთესად, ვიდრე სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობს. ამ ნიჭიერი, 21 წლის ფეხბურთელის ასეთი პასუხისმგებლობა გვაფიქრებინებს, რომ იგი მომავალში ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდება.

მ ა ნ უ ჩ ა რ მ ა ჩ ა ი ძ ე — ოლიმპიური ნაკრების წევრს, ფეხბურთელს, რომელიც ლეჰ იაშინმა თავის საიუბილეო მატჩში მიიწვია, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინა აქვს. მით უმეტეს — იგი ხომ სულ 22 წლისაა. მაჩაიძის შემდგომ ზრდას იმედის თვალით შევყურებთ არა მარტო ჩვენ, არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრების მესვეურნიც ბევრს მოელიან მისგან.

ფ ი რ უ ზ რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი. 21 წლისას თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი მივუჩინეთ. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს. ამ ფეხბურთელის უძლიერესი დარტყმები ყველა მეკარეს აშინებს. ვფიქრობ, მომავალში იგი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირთა რიგებში ჩადგება.

დ ა თ ო ყ ი ფ ი ა ნ ი — ამ ტექნიკურ ფეხბურთელს, რომლის იდეალი პელე გახლავთ, ყველა შანსები აქვს დიდი ფეხბურთელი გაიზარდოს, თუ, რა თქმა უნდა, უარს არ იტყვის ყოველდღიურ დაუღალავ წვრთნაზე.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა 18 წლის ვ ლ ა დ ი მ ე რ გ უ ც ა ე ვ ზ ე. ჯერ კიდევ სულ პატარამ ქუჩის გუნდების პირველობაზე (ვლადიმერი 1966 წელს „დელისის“ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა), საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დაიმსახურა. ამის შემდეგ იგი მწვრთნელთა ყურადღების ცენტრშია და ჩვენს იმედებსაც ამართლებს. შემთხვევითი როდია, რომ თვით სლავა მეტრეველმა, რომელიც დიდი ფეხბურთიდან გვეცილეთ, თავისი მაისური სწორედ გუცაევს გადასცა. ვფიქრობ, სლავას ღირსეული მემკვიდრე ეყოლება.

— დიახ, სწორედ ამ ფეხბურთელებმა, რევაზ ძოძუაშვილთან, მურთაზ ხურცილავასთან, ჯანსუღ ჭელიძესთან, გურამ პეტრიაშვილთან, სერგო ჟუტივაძესთან ერთად თითქოს შეუძლებელი შეძლეს, გასვლით თამაშებში დაამარცხეს ერევნის „არარატი“ (ეს ერევნელთა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მარცხია ახალ სტადიონზე), ლენინგრადის „ზენიტი“, მოსკოვის „დინამო“, საკუთარ მოედანზე კი — ხელიდან ჩემპიონს — კიევის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკს“ და საბოლოოდ მესამე ადგილი დაისაკუთრეს. და კიდევ ერთი, — დასძინა ბოლოს მწვრთნელმა, — გაისად ხომ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდებიან კახი ასათიანი და გივი ნოდია. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს. აი რატომ არის, რომ ოპტიმისტურად შევყურებ თბილისის „დინამოს“ მომავალს, რატომ მჯერა, რომ ეს თაობა სასახელო ფურცელს ჩაწერს ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ჩვენც გვჯერა ღვაწლმოსილი მწვრთნელის ამ სიტყვებისა, რადგან გავრილ კაჩალინს, ფეხბურთელთა გამოცდილ აღმზრდელს, წინასწარ ბევრის განჭვრეტა შეუძლია, — იგი ხომ ის კაცია, თბილისის „დინამო“ 1964 წელს გამარჯვების ოლიმპზე რომ აიყვანა!

ომარ მესხიშვილი




გავრილ კაჩალინი ესაუბრება თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

შოთა იამანიძის მემორიალი

დიდი საფეხბურთო ტურნირი გაიმართა თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა იამანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ვეტერანთა ასპარეზობაში მასპინძლების გარდა, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის გუნდებმა. მოედანზე კვლავ ვიხილეთ მესხისა და მეტრეველის, ილინისა და დემენტიევის, ხომიჩისა და ოსტროვსკის ბრწყინვალე თამაში.

ოთხდღიანი ბრძოლა თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა, მათ თანმიმდევრულად დაამარცხეს ლენინგრადისა და კიევის გუნდები, ხოლო მოსკოველებთან შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. მეორე ადგილი ოთხი ქულით მოსკოვის ვეტერანმა ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს.

მთავარი ჯილდო — შოთა იამანიძის მემორიალის პრიზი — ბროლის თასი თბილისის გუნდის კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გრიგოლ გაგუას გადასცა შოთა იამანიძის 6 წლის ვაჟმა დათომ.



სვანი პოეტებისა და მწერლების წიგნები.

ქართული (სვანური) სამზარეულო

ამთაში ცხოვრებისათვის საჭირო საკვები მაღალკალორიული, ადვილად შესათვისებელი, საზიდად მსუბუქი უნდა იყოს. და ასეც არის.

სვანის ყოველდღიური საკვებიდან უმთავრესია: ძუშ (საჭაპური), პუბდარ (დაკეპილი ან დაჭრილი ხორცის გულიანი პური ან მჭადი, ღვეზელი), ლუშვნე (კარტოფილისა და ყველის გულიანი, სიმინდის და ფეტვის ყველგარეული ნამცხვარი), ფეტვრა (ყველიანი ფეტვის ნამცხვარი), ჩხატვრა (პურისა და ყველის ნაზელი), ცვრი (მოხალული და მოხარშული პურის მარცვლის ფქვილი. საგზლად მიაქვთ) და სხვა.

ჰიშდვარ — ყველაზე გავრცელებული და ნოყიერი საჭმელია. სიმინდის ან ფეტვის ფქვილს მოზელენ და გაურივენ ჭყინტ ყველს (დილით ამოღებულს შუადღისას). მერე კერაზე აცხობენ. რაც მეტი ყველია გარეული, მით უფრო გემრიელია ნამცხვარი.

ლეცვმარ — ჭიქა წყალს აადუღებენ, ქვაბში ჩაყრიან დაახლოებით იმდენსავე პურის ფქვილს და ბლომად ჭყინტ ყველს, ზომიერად ხარშავენ და ურევენ. ასეთი საჭმელი უაღრესად ნოყიერი და მსუყეა, იწველება და სუფრაზე პურებს გადააფენენ ხოლმე.

კუბად — ღორის ან ძროხის (ან ორივეს შერეულ) ხორცს წვრილად დაჭრიან, მწვანილს, ხახვსა და ნიორს დააჭრიან, სიმინდის ან პურის ცომის ჩაღრმავებულ გუნდაში ჩადებენ, თავს მოუკრავენ და კერაზე აცხობენ, გადააბრუნებენ და გვერდებსაც დაბლა ირიბად შედგმული ბრტყელი ქვის შეწყობით ნაკვერჩხლებზე მიუფიცხებენ. კარგად რომ გამოცხვება, სუფრაზე დანით ზედა მხარეს მრგვალად აჭრიან და ასე ცხლად ჭამენ.

სვანები უხვად ხმარობენ ხილს — პანტას, მსხალს, მაყვალს, მოცვსა და ბალახეულს — ღეჩის (ღუცი), მუთხვარს (მჟაუნა), ბირღვს (ბუერა), ტკაიცს (კენკეშა), ლაკოდას (ნიუკა), ახმობენ, ზამთარში ხარშავენ და ამზადებენ ფქვილიან წვნეს. მას სამკურნალოდაც იყენებენ.

სვანი გიჭი...

სკოლისაკენ მიდის უკვე
სვანი ბიჭი ზვიადი!
ამ გზაზეა მისი ქვეყნის
მომავალი დიადი.
გზას ულოცავს უშგულის ცა
და ლენხერის მწვანეთი:
— ასახელე საქართველო,
ასახელე სვანეთი!



სვანური ანდაზები

● მზე მწყალობდეს და თუნდაც ნისლი მეხვეოდესო.

● კვერნა საშოვარზე წასულა და ტყავიც იქ დარჩენიაო.

● ცხენს ვერ მოერია და უნაგირს ეტაკაო.

● არჩვის ხორცი დაიწუნა, მაჩვის ხორცით გამოძღაო.

● ანჩხლი ქალის ხელში ქმარი დაწვრილდებაო.

● ვისაც არავინ ჰყავდა, სიბერეში კატას დაჰყავდაო.

● ბოროტ ადამიანს კლდეც არ იკარებსო.

● ას მშენებელს ერთმა მნგრეველმა აჯობაო.

● არჩვი რა ხეობაშიც დაიბადება, იმ ხეობაში სიკვდილს არჩევსო.

● სირცხვილი შუბლს დაეტყობაო.

● ავისა და კარგის გარჩევად კაცი უნდა და არა ვაციო!

● მტრობით ვერაფერი დააკლო, მოყვრობით დაუკარო.

დაბეჭდეს, მოგვილიან

შალვა ივანეს ძე სიორდიას,

დაბადებულს 1921 წელს სენაკის მაზრის სოფელ ძონძირში (ახლანდელი ახალი სოფელი), ეძებენ დები — **ქსენია** და **ლუბა სიორდიები**, დისწულები — **მერი** და **ციალა ჯანაშიები**, მცხოვრებნი ცხაკაიას რაიონის სოფელ ახალ სოფელში.

გიორგი ალექსანდრეს ძე კოხრეიძეს,

დაბადებულს 1918 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში, ეძებენ დედა — **კატო**, მამა — **ალექსანდრე**, დები — **ვერა**, **ლოლა**, ძმა — **კონსტანტინე კოხრეიძეები**, მცხოვრებნი სოფელ იანეთში.

გენედიქტე მალაქიას ძე ჩალაძეს,

დაბადებულს 1923 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში, ეძებენ დედა — **ვერა**, მამა — **მალაქია**, დები — **აგრიპო**, **ლიმონა**, **ნუშა ჩალაძეები**, მცხოვრებნი გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხში.

გერასიმე (კუკუ) დავითის ძე გენდელიანს,

დაბადებულს 1914 წელს დაბა ცაგერში, ეძებენ დედა — **ეფროსინე**, მამა — **დათა**, დები — **ქეთევან**, **პელო**, ძმა — **კოლია გენდელიანები**, მცხოვრებნი დაბა ცაგერში, ორჯონიკიძის ქუჩა № 28.

ტარასი მოსეს ძე ლორიას,

დაბადებულს 1905 წელს სამტრედიის რაიონის გორმაღლის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვაყუდეში, ეძებს შვილი — **იზოლდა ლორია**, მცხოვრები სოფელ ქვაყუდეში.

ალექსანდრე (ალიოშა) ნიკოლოზის ძე ტერტერაშვილს,

დაბადებულს 1917 წელს ქასპის რაიონის სოფელ (ყოფილი გორის მაზრა) დოესში, ეძებენ დედა — **ელისაბედ**, და — **ლენა**, ძმები — **ვალოდია** (**ვალიკო**), **გრიშა ტერტერაშვილები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, ოქტომბრის ქუჩა № 77.

ძმებს სერგო და ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შაფათავებს,

დაბადებულთ 1910 და 1920 წლებში ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში (ახლა განახლება), ეძებენ დედა — **ანა**, დები — **ეკატერინა**, **ეთერ**, ძმები — **შოთა**, **ნესტორ**, **ილია შაფათავები**, მცხოვრებნი თბილისში, ორმაღლების ქუჩა № 7.

კოტე (კონსტანტინე) ნესტორის ძე ლიპარტიას,

დაბადებულს 1920 წელს ბაშის რაიონის სოფელ დიდ კვათმაში, ეძებენ დედა — **ალექსანდრა**, და — **გოგუცა**, ძმები — **ვლადიმერ**, **მეჭი**, **მიტო ლიპარტიები**, მცხოვრებნი სოფელ დიდ კვათანაში.

თორნიკე (გუგულა) რაჟდენის ძე ჭირაქაძეს,

დაბადებულს 1918 წელს ჭუთაისის რაიონის სოფელ გოდოგანში, ეძებენ დები — **ლუბა**, **ქეთევან**, **ბაბო**, **ნორა**, ძმები — **მამონტ**, **დიმიტრი**, **ანტონ**, **ნიკოლოზ ჭირაქაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, რუსთაველის გამზირი № 37.

ძმებს მიხეილ და გიორგი ვასილის ძე კოპალეიშვილებს,

დაბადებულთ 1914 და 1918 წლებში სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, ეძებს და — **ზინა კოპალეიშვილი**, მცხოვრები ქალაქ ბათუმში, ლუქსემბურგის ქუჩა № 12.

გიორგი (ვოვა) დიმიტრის ძე გილაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს საგარეჯოში, ეძებენ დები — **მარო**, **ნანო**, **ანიკო**, **ქეთევან**, ძმა — **ილია გილაშვილები**, მცხოვრებნი საგარეჯოში, მამისაშვილის შესახვევი № 12.

უცხოეთში მცხოვრებო თანამემამულენო, გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველნო!

ცხადდება ხელმოწერა 1972 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ყველა მოქალაქეს, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (v/a „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და ფორმდება ხელმოწერა საბჭოთა გამოცემებზე.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შეგახსენებთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ ყოველი თვის მე-2 და მე-4 პარასკევს რვა გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას, აუწყებს ლიტერატურის, ისტორიის, სპორტის, ქართული ზნე-ჩვეულების, უოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგვიწყდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

წერილი საფრანგეთიდან

არკაშონი, 18/X. 71 წელი

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს განმარტებას: თქვენ კეთილი ინებეთ და დაბეჭდეთ „სამშობლოს“ 24 სექტემბრის ნომერში ჩემი პატარა წერილი „ბედი ქართლისას“ დირექტორის იუბილეს ირგვლივ, რომელსაც გამოეხმაურა ჩვენი კოლეგა ბატონი იოსებ მეგრელიძე. ცხადია, მისი პასუხი გაუგებრობაზეა აგებული. ჩვენ ვლაპარაკობდით ქართველოლოგიის მდგომარეობაზე საზღვარგარეთ, დასავლეთში და არა საქართველოში, რომელსაც არასოდეს არ აკლდა დიდი ქართველოლოგები. უდავოა, რომ M. F. Brosset-ს მასშტაბის მკვლევარი ქართული კულტურისა დასავლეთში სხვა არ ყოფილა. ისიც ფაქტია, რომ Brosset-ს შემდეგ ბევრი ქართველოლოგი მოღვაწეობდა საზღვარგარეთ, მაგრამ იმ დროს არსებული პირობები ხელს არ უწყობდა მათ და არც სერიოზული მეცნიერული წყაროები არსებობდა როგორც დღეს, აუცილებელი ქართული კულტურის კვლევისათვის. ამიტომ არც ერთს არ დაუარსებია ქართველოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა თავისი საკუთარი, საყოველთაოდ აღიარებული ორგანოთი, როგორც ეს სალიებმა შეძლეს. მანამდე არ არსებობდა არავითარი ბეჭდვითი ცნობილი ორგანო ქართველოლოგიისა.

პატივისცემითა და მადლობით

პროფესორი რენე ლაფონი,

ჟურნალ „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

რედაქტორის მაგიერ

ვასილ მჭედლიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტური კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.